2022 წელს:

“საფარის” **იურისტებმა 1572** სამართლებრივი კონსულტაცია, **სოციალურმა მუშაკებმა კი 841 კონსულტაცია გასცეს;**

წარმოებაში 473 საქმე მივიღეთ. 2022 წელს დასრულებული 176 საქმიდან, 146 ჩვენთვის სასურველი შედეგით დასრულდა;

ჩავატარეთ **28 ტრეინინგი,** გადავამზადეთ 300-ზე მეტი პროფესიონალი, შევხვდით 150-მდე მშობელს;

გავმართეთ **8 საინფორმაციო კამპანია;**

ჩავატარეთ **4 კვლევა;**

მოვამზადეთ **6 ანგარიში და პუბლიკაცია.**

გაიგეთ მეტი:

https://sapari.ge/

@unionsapari

@union.sapari

@UnionSapari

union.sapari

Union Sapari

დაგვიკავშირდით:

info@sapari.ge

+995 322 307 603;
+995 99 407 603

მისამართი:
თბილისი,
აკაკი გახოკიძის ქ. N11ა

WISE

საფარი SAPARI

WISE

საფარი SAPARI

WISE

საფარი SAPARI

“საფარი” ფემინისტური არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც უკვე 20 წელზე მეტია, საქართველოში ქალთა გაძლიერებისთვის იბრძვის

ჩვენ გვყავს **მრავალწლიანი გამოცდილების მქონე, გენდერულად მგრძნობიარე იურისტების გუნდი,** რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით უფასო იურიდიულ მომსახურებას სთავაზობენ ძალადობის მსხვერპლ ქალებსა და ბავშვებს. საქმეებს ვაწარმოებთ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე - საერთაშორისო სასამართლოებში.

2022 წელს, ჩვენ კვლავ ვმუშაობდით ქალთა მიმართ ძალადობის, სქესობრივი დანაშაულების, ეკონომიკური ძალადობის, პანსიონებში მცხოვრები მოზარდების, კიბერუსაფრთხოების საკითხებზე, უფლებადამცველების საქმიანობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ჩართულნი ვიყავით პოლიტიკის ადვოკატირების პროცესში.

საზოგადოებაში გენდერული მგრძნობელობის გაზრდის მიზნით, მუდმივად ვატარებთ საინფორმაციო კამპანიებს და ვმუშაობთ არაფორმალური განათლების მიმართულებით. ჩვენი ონლაინ პლატფორმებია:

“ფანჯარა” - ორენოვანი, ქართულ-აზერბაიჯანული სივრცე, ეთნიკურად აზერბაიჯანელი ახალგაზრდების ინტეგრაციის ხელშესაწყობად;

“განძი” - ორენოვანი, ქართულ-სომხური სივრცე, ეთნიკურად სომეხი ახალგაზრდების ინტეგრაციის ხელშესაწყობად.

“გოგონების ხმა” - “საფარის” მხარდამჭერი 13-დან 25 წლამდე გოგონების ჯგუფი, მთელი საქართველოდან. ჩვენ ვზრუნავთ იმაზე, რომ ჩვენს ქვეყანაში ქალების მომავალი თაობა გენდერული ჩაგვრისგან თავისუფალ გარემოში განვითარდეს.



პანდემიის დროს, დავნერგეთ ქალების უსაფრთხოების მობილური აპლიკაცია - Safe You, რომელსაც 22 500-ზე მეტი მომხმარებელი ჰყავს. დღეს, აპლიკაცია ხელმისაწვდომია ქართულ, უკრაინულ და სომხურ ენებზე, სულ მალე კი მისი გამოყენება ქვეყნის აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობასაც შეეძლება.

აპლიკაცია Safe You-ს გამოყენების დროს, SOS ღილაკზე დაჭერა განგაშის სიგნალს გზავნის ჩვენ მიერ შერჩეულ ახლობელ ადამიანებთან, ქალთა პრობლემებზე მომუშავე ორგანიზაციებთან და/ან პოლიციასთან (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მივუთითებთ პოლიციის გამოძახებასაც). აპლიკაციის ეს ფუნქცია აუცილებელია, თუ უცაბედად ძალადობის ფაქტი შეგვემთხვა/შევესწარით და დახმარების გამოძახების საჭიროების წინაშე აღმოვჩნდით.



ასევე, აპლიკაციას ფორუმის სივრცე აქვს, სადაც მომხმარებელი მიიღებს ნებისმიერ კითხვაზე პასუხს თუ რჩევას პროფესიონალებისგან (იურისტი, ფსიქოლოგი, ექიმი-რეპროდუქტოლოგი, სოციალური მუშაკი), და ეს ყველაფერი სრულიად ანონიმურია.

ასევე, ჩვენ 2022 წელს ორგანიზაციის ვებ-გვერდზე ჩავაშენეთ დონაციის პლატფორმა, რომლის საშუალებითაც, გვსურს, ხელი შევუწყოთ ფილანთროპიის კულტურის განვითარებას საქართველოში.



#გააძლიერე
საფართან ერთად

გააძლიერე!